დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

1. ეს წესი აწესრიგებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი საქმიანი შეხვედრების, მიღებების, სემინარების, კონფერენციების მოწყობას, პრეზიდენტის აპარატიდან, მინისტრთა კაბინეტის აპარატიდან, პარლამენტის, სამინისტროებსა და იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის და ასევე საზღვარგარეთის წარმომადგენელთა მიღებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და ამ მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

2.ამ მუხლის პირველ პუნქტით აღნიშნულ ღონისძიებათა ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 2. წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობა

წარმომადგენლობით ხარჯებში შეიტანება პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები, რომელიც მოიცავს:

ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (VIP დარბაზების მომსახურება) ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ.) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

მუხლი 3. დაფინანსების წყარო

1. საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლობითი ღონისძიებათა დაფინანსება ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ბიუჯეტის პროექტის განსაზღვრისას მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა ჩამონათვალს და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას წარუდგენს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, რომლის შემდეგაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური აღნიშნულ ინფორმაციას შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს მომავალი წლის ბიუჯეტის მომზადებაში.

მუხლი 4. სახსრების ხარჯვის წესი

1.ღონისძიების ჩატარების შემდეგ, საკრებულოს აპარატი და მერიის ადმინისტრაციული სამსახური არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ღონისძიებაში მონაწილეთა ზუსტ დასახელებას და სტატუსს, ღონისძიების მიზანსა და შინაარსს მიღებული გადაწყვეტილებათა მოკლე ჩამონათვალს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სტუმრების მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯების ამსახველი პირველადი (ანგარიშ ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) დოკუმენტები, საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის დავალებით ეგზავნება მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

2. წარმომადგენლობითი ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3. პასუხისმგებლობა აღნიშნული ასიგნებების მიზნობრივად ხარჯვისათვის ეკისრება წარმომადგენლობითი ხარჯების განკარგვაზე პასუხისმგებელ პირს , საკრებულოს თავმჯდომარეს, მერს.